



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის,  
განხორციელებისა და შეფასების წესი

*დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით*

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი (შემდგომში - „წესი“) მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/5 ბრძანებისა და კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე.
- 1.2. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესები.
- 1.3. კვლევითი კომპონენტი წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს. ამასთანავე, ეს კომპონენტი სავალდებულოა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგების აღმწერთან.
- 1.4. კვლევითი კომპონენტის მიზანია სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარება.

## 2. პროგრამების კვლევითი კომპონენტის ზოგადი აღწერილობა

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ძირითადი მიზანია სტუდენტის მიერ რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურისა და საინფორმაციო წყაროების გაცნობა და გამოყენება, ვალიდური კვლევის მეთოდების ათვისება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შედეგების მიკვლევა, მათი შეფასება და გამოყენება როგორც შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომის მომზადებისას, ისე პრაქტიკული მუშაობის პროცესში.
- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის ინტეგრირება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განვითარების ჯგუფის მიერ სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურის ჩართულობით.
- 2.3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მოცულობა და შინაარსი გამომდინარეობს უნივერსიტეტის მისიიდან, სტრატეგიული გეგმებიდან, პროგრამის მიზნებიდან და ითვალისწინებს დარგობრივ მოთხოვნებსა და საერთაშორისო გამოცდილებას.
- 2.4. უნივერსიტეტში მოქმედი ყველა პროგრამისთვის კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება მიმდინარეობს საფეხურებრივად, პროგრამების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, აქვს სპირალური ხასიათი და მემკვიდრეობითობის პრინციპზეა დაფუძნებული.
- 2.5. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ელემენტების სწავლება იწყება საწყის ეტაპზე - სწავლების პირველივე წელს (ინტეგრირებული ან დამოუკიდებელი კურსების სახით), რასაც შემდგომ წლებში მოჰყვება დამოუკიდებელ დისციპლინებად ჩამოყალიბება (მაგალითად, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკა და სხვ), საბოლოოდ კი პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროცესი შეიძლება დასრულდეს

აღმოჩენის ფაზით - სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ მიერ დამოუკიდებლად მცირე კვლევის ჩატარებით.

- 2.6. აღმოჩენის ფაზა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო უნარების განვითარების საბოლოო ეტაპია და მისი მიზანია, სტუდენტს მისცეს არა მხოლოდ შესაბამისი ცოდნა კვლევის თანამედროვე მიდგომებისა და ძირითადი პრინციპების შესახებ, არამედ განუვითაროს პრაქტიკული უნარები, რომ შეძლოს სამეცნიერო იდეის ქცევა კვლევის პროექტად და/ან სხვადასხვა კლინიკურ კვლევაში ჩართვა.
- 2.7. მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, აღმოჩენის ფაზის აღმოჩენის კომპონენტი უნდა მოიცავდეს დიდაქტიკურ და პრაქტიკულ ნაწილს. დიდაქტიკური ნაწილის ფარგლებში უნდა მოხდეს წინა სასწავლო კურსებში ნასწავლი მასალის გამეორება და გაღრმავება კვლევის სხვადასხვა ტიპების შესახებ, ასევე, შესაძლოა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდეს კლინიკური კვლევებისა და მისი ფაზების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, კვლევის მეთოდებსა, პროტოკოლებსა და, ასევე, სამედიცინო კვლევის ეთიკის პრინციპებში ცოდნის განმტკიცება. ამ კომპონენტის ფარგლებში ხდება მტკიცებაზე დაფუძნებული მედიცინისა და კარგი კლინიკური პრაქტიკის (Good Clinical Practice) პრინციპების დამუშავება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან მუშაობის სპეციფიკის გაცნობა/ბაზების შექმნა და/ან ბაზის ანალიზის სისტემების, სხვადასხვა საძიებო სისტემების გამოყენება; თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, სამეცნიერო პროექტის დიზაინის კრიტიკული მიმოხილვის უნარ-ჩვევების განმტკიცება, სამედიცინო კვლევაში ტექნოლოგიური პროგრესისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების სპეციფიკის გაცნობა.
- 2.8. აღმოჩენის ფაზა სრულდება გამოცდით - სტუდენტთა კვლევითი პროექტების წარდგენით და შეფასებით. ინოვაციური პროექტები პუბლიკაციის სახით შესაძლებელია გამოქვეყნდეს ლოკალურ ან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.

### 3. კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება

- 3.1. დასკვნით (აღმოჩენის) ფაზაში კვლევით პროექტს ირჩევს სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის იდეის/ინტერესის გათვალისწინებით. პროექტის თემა შერჩეულად ითვლება ხელმძღვანელისა და სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ წერილობით გამოხატული თანხმობით.
- 3.2. მნიშვნელოვანია, პროექტების შეთავაზებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდეს უნივერსიტეტის სტრატეგიულ კვლევით მიმართულებებზე: საზოგადოებრივი ჯანდაცვა (მაგ. ეპიდემიოლოგიური კვლევა, ბიოუსაფრთხოების საკითხები და სხვა.) და სამედიცინო განათლება. ამასთან, გამოხატული ინტერესის შემთხვევაში, შესაძლებელია სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში ბაზისურ ან კლინიკურ მედიცინაში, ჯანდაცვის ორგანიზაციაში და მედიცინასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში.
- 3.3. თითოეულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს ჰყავს კვლევის ხელმძღვანელი. თითოეულ ხელმძღვანელმა შესაძლებელია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 7 ნაშრომის მომზადებას.

- 3.4. კვლევითი პროექტის განხორციელებისას რეკომენდებულია, კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის მიერ მოხდეს საერთაშორისო ან ლოკალური ტრენინგ-კურსების გაცნობა სტუდენტებისთვის,
  - 3.5. კრიტიკული აზროვნების უნარის განსავითარებლად სავალდებულოა სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის კვლევითი პროექტების წარმოება და მიღებული მონაცემების განხილვა ჯგუფში, ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.
- 4. კვლევითი კომპონენტის შეფასება**
- 4.1. კვლევითი კომპონენტის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომლებიც ხორციელდება სილაბუსით გათვალისწინებული წესით.
  - 4.2. იმ შემთხვევაში თუ, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კვლევითი კომპონენტი მოიცავს კვლევითი პროექტის განხორციელებას, მისი შეფასება ხორციელდება ორი სავალდებულო კომპონენტით: საბოლოო ნაშრომის როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერი წარდგენით. თითოეული კომპონენტის შეფასება განისაზღვრება სილაბუსით დადგენილი წილით.
    - 4.2.1. კვლევითი პროექტის წარდგენა და შეფასება ხორციელდება სპეციალურად შექმნილ კომისიაზე, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი და შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
    - 4.2.2. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება სულ მცირე 5 წევრით.
- 5. კვლევითი პროექტის წერილობითი გაფორმება**
- 5.1. კვლევის ფარგლებში შექმნილ ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის აქტუალობა, მიზანი, ამოცანები, კვლევის საგანი და მეთოდები, კვლევის შედეგები, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.
  - 5.2. ნაშრომის წარმოდგენის ფორმატი: ნაბეჭდი სახით A4 ზომის ფურცელზე; შრიფტის ზომა - 12; ინტერვალი - 1,5; ტექსტის დაშორება გვერდის ზედა და ქვედა კიდიდან - 2,5 სმ; მარჯვენა კიდიდან - 1 სმ; მარცხენა კიდიდან - 3 სმ;
  - 5.3. ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 გვერდისა.
- 6. კვლევითი პროექტის ზეპირსიტყვიერი წარდგენის (დაცვის) პროცედურა**
- 6.1. ნაშრომის ზეპირსიტყვიერი წარდგენა ხორციელდება ელექტრონული პრეზენტაციის (Microsoft Power Point-ის) გამოყენებით.
  - 6.2. ნაშრომის წარდგენის პროცედურა მოიცავს:
    - 6.2.1. ნაშრომის ზეპირსიტყვიერ მოხსენებას (15-20 წთ.);
    - 6.2.2. დისკუსიას;
- 7. კომისიის მიერ კვლევითი პროექტის შეფასება**

- 7.1. ნაშრომების გაცნობისა და წერითი კომპონენტის შეფასების მიზნით კომისიის წევრებს ნაშრომები ეგზავნებათ მათი ზეპირი დაცვის თარიღამდე არაუმცირეს 2 კვირით ადრე.
- 7.2. წერითი და ზეპირი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება სილაბუსით.
- 7.3. ნაშრომი ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის ზეპირსიტყვიერი მოხსენების დასრულებისთანავე ქულობრივი სისტემით და საბოლოო შეფასება დგინდება კომისიის წევრების მიერ მინიჭებულ ქულათა ჯამის საშუალო არითმეტიკულით.